საქართველოს პარლამენტი

# გენდერული თანასწორობის საბჭო

## სამოქმედო გეგმა 2018-2020

დამტკიცებულია  გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2018 წლის 17 აპრილს.

## გენდერული თანასწორობის საბჭოს მისია

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მისიაა, ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის შესახებ ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ქალთა როლის მხარდამჭერი ინიციატივების განხორციელებას და თემის პოპულარიზაციას როგორც გარე, ისე შიდა აუდიტორიაში. უზრუნველყოს სხვადასხვა დაინტერესებული თუ ჩართული მხარის ძალისხმევის გაერთიანება ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციის წარმოებისას.

## გენდერული თანასწორობის საბჭოს ხედვა

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო არის სანდო, გამჭვირვალე და კომპეტენტური ორგანო, რომელიც წამყვან როლს ასრულებს სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირებაში და გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში მიღწეული პოზიტიური ცვლილებების სწორ და ეფექტიან კომუნიკაციაში.

## გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანები

**ამოცანები**

1. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
2. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმის დახვეწა.
3. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და განვითარება
4. გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება
5. ცნობიერების ამაღლება
6. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგი და რეკომენდაციების შემუშავება

# შინაარსი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მისია ........ 1

გენდერული თანასწორობის საბჭოს ხედვა ........ 1

გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანები ........ 1

1. სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება ........ 3

2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და გაუმჯობესება ........ 7

3. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა ........ 10

4. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება ........ 13

5. ცნობიერების ამაღლება გენდერულ თანასწორობაზე ........ 16

6. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი ........ 19

## 1. სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება

**მიზანი: გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ჩამოყალიბება და სახელმწიფო კონცეფციის ეფექტიანი განხორციელება.**

| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1. საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა და ახალი კონცეფციის მიღების მხარდაჭერა | 1.1. საქართველოს გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის პროექტის დამტკიცება. | 1.1.1. კონცეფცია განხილულია საბჭოს სხდომაზე;<br>1.1.2. ჩატარებულია კონსულტაციები/განხილვა ჩართულ მხარეებთან;<br>1.1.3. პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებულია ახალი სახელმწიფო კონცეფცია გენდერული თანასწორობის შესახებ. | საბჭო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018 |
| | 1.2. გენდერული საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელება; | 1.2.1. გეგმა განხილულია და დამტკიცებულია საბჭოს წევრების მიერ;<br>1.2.2. ჩატარებულია დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა;<br>1.2.3. გეგმა წარდგენილია ყველა ჩართულ მხარესთან;<br>1.2.4. გამოქვეყნებულია გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში;<br>1.2.5. ჩატარებულია გეგმის ყოველწლიური გადახედვა და შესულია შესაბამისი ცვლილებები ყოველწლიურად. | საბჭო | 1.2.1, 1.2.2, 1.2.3, 2018 წლის I კვარტალი.<br><br>1.2.4 – 2019 წლის იანვარი, 2020 წლის იანვარი, 2020 წლის დეკემბერი.<br>1.2.5. – 2018 წლის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | დეკემბერი, 2019 წლის დეკემბერი |
| | 1.3. კანონმდებლობის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვა პარლამენტში | 1.3.1. თითოეულმა საპარლამენტო კომიტეტმა განახორციელა გენდერული გავლენის ანალიზი მინიმუმ ერთ კანონპროექტზე. (ყოველწლიურად ჩატარებულია 15 კანონპროექტის გენდერული ანალიზი)<br>1.3.2. გენდერული გავლენის ანალიზი გათვალისწინებულია განმარტებითი ბარათის ახალ პროექტში.<br>1.3.3. პარლამენტის ტრენინგ ცენტრის ბაზაზე შემუშავებულია გენდერული გავლენის ანალიზის ტრენინგ კურსი;<br>1.3.4. საპილოტე პროგრამის ბაზაზე, მომზადებული არიან ახალი GIA-ს ახალი ტრენერები (თითოეული კომიტეტის აპარატიდან მინიმუმ 1 თანამშრომელი) | საბჭო<br><br>კომიტეტების აპარატის ხელმძღვანელები<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 1.4.1 – 2018, 2019, 2020<br><br>1.4.2. – 2018<br><br>1.4.3. – 2018<br><br>1.4.4. – 2018-2019 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1.4. ანაზღაურების სხვაობის (Pay Gap) გამოთვლის მეთოდოლოგიის შემუშავება | 1.4.1 სტატისტიკის სამსახურთან თანამშრომლობით ჩატარებულია საჭიროებების კვლევა და გარემოს ანალიზი.<br>1.4.2. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შექმნილია ანაზღაურების სხვაობის გამოთვლის საერთაშორისო სტანდარტი;<br>1.4.3. პილოტირებულია ანაზღაურების სხვაობის გამოთვლის მეთოდოლოგია. | საბჭო;<br>სტატისტიკის სამსახური;<br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2019 |
| | 1.5. სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვა | 1.5.1. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს შემუშავებული აქვს ბიუჯეტის გენდერული ანალიზის საპილოტე მეთოდოლოგია;<br>1.5.2. საბიუჯეტო ოფისის მიერ განხორციელებულია სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დანართის საპილოტე გენდერული ანალიზი.<br>1.5.3. განხორციელებულია პარლამენტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი (პილოტი)<br>1.5.4. განხორციელებულია სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. | საბჭო;<br><br>პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი;<br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 1.6.1., 1.6.2., 1.6.3. – 2018<br><br>1.6.4. – 2019 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1.6. საქართველოს პარლამენტის გენდერული თვითშეფასება (self-assessment) | 1.6.1. ღია მმართველობის საბჭოს ინიციატივის ფარგლებში შექმნილი მეთოდოლოგია შეიცავს გენდერულ კომპონენტს;<br>1.6.2. განხორციელებულია თვითშეფასება მოიცავს გენდერულ კომპონენტს.<br>1.6.3. შეფასება განხორციელებულია მინიმუმ ორჯერ. | ღია მმართველობის საბჭო (OGP), გენდერული საბჭო, საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 1.7.1 და 1.7.2. – 2018<br><br>1.7.3. – 2018-2020 |

## 2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და გაუმჯობესება

**მიზანი: საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და გენდერული თანასწორობისკენ მიმართული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.**

| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| **2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფის და მისი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა** | 2.1. “გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები” კვლევის ანგარიშში იდენტიფიცირებულ საკითხებზე (ქალთა უფლებების გაძლიერების, დაცვის და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფის კუთხით) საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება. | 2.1.1. მომზადებული და ინიცირებულია სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები.<br>2.1.2. ფემიციდის მუხლთან დაკავშირებით, ჩატარებულია კონსულტაციები და განხორციელებულია მუშაობა.<br>2.1.3. მომზადებულია ინიციატივა გაუპატიურების ცნების საკითხთან დაკავშირებით. | **საბჭო**<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2020 |
| | 2.2. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება. | 2.2.1. დამტკიცებულია ცვლილებები საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტირების შესახებ; | საბჭო | 2018-2020 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2.3. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის გადახედვა | 2.3.1. „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები“ კვლევაში რეკომენდებული ცვლილებების პროექტის მომზადებული და ინიცირებულია.<br>2.3.2. საბჭოს ჩატარებული აქვს ცვლილებების მისაღებად საჭირო ადვოკატირების ღონისძიებები.<br>2.3.3. კანონის გადახედვის პროცესში მიღებულია მხედველობაში ადგილობრივ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის მექანიზმების საკანონმდებლო დონეზე გაძლიერების საჭიროება;<br>2.3.3. პარლამენტის მიერ დამტკიცებულია ცვლილებები კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ. | საბჭო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2.3.1 და 2.3.2 – 2018 წ.<br><br>2.3.3. - 2019 |
| | 2.4. მშობლის დეკრეტული შვებულების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა | 2.4.1. შემუშავებულია მშობლის დეკრეტული შვებულების ახალი მოდელი;<br><br>2.4.2. ჩატარებულია კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ ჯგუფთან და მხარესთან.<br>2.4.3. მომზადებული და ინიცირებულია მშობლის დეკრეტული შვებულების ახალი მოდელის დამტკიცების შესახებ. | საბჭო<br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2020 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2.5. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, არსებული კვლევების საფუძველზე საკანონმდებლო პაკეტის პროექტის მომზადება საქართველოს შრომის კოდექსში და სხვა კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ | 2.5.1. ცვლილებების შესახებ, ჩატარებულია კონსულტაციები მთავრობასთან, კერძო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;<br><br>2.5.2. მომზადებული და ინიცირებულია საქართველოს შრომის კოდექსში და სხვა კანონებში შესატანი ცვლილებების და დამატებების პროექტი. | საბჭო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | |
| | 2.6. სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტების მიღების მხარდაჭერა. | 2.6.1. საბჭომ მხარი დაუჭირა სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტების მიღებას. | საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018 |

## 3. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა

**მიზანი: გენდერული თანასწორობის საკითხებზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოში არსებული უწყებების/ინსტიტუტების კოორდინირებული მუშაობა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა.**

| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| **3. გენდერული თანასწორობის სფეროში არსებული სახელმწიფო მექანიზმების გამართული და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა** | 3.1. გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება აფხაზეთისა და აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოებთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეებთან, აგრეთვე მუნიციპალიტეტების საკრებულოთა წევრ ქალებთან; | 3.1.1. შერჩეულია საპილოტე საკრებულოს საბჭოები.<br><br>3.1.2. ჩატარებულია დონორთა საკოორდინაციო შეხვედრები;<br><br>3.1.3. საკრებულოს საბჭოებისთვის შექმნილია გენდერული საბჭოების საქმიანობის სახელმძღვანელო.<br><br>3.1.4. ჩატარებულია პირველი გაცნობითი სახის კონფერენცია ყველა საკრებულოს საბჭოების წარმომადგენლებთან.<br><br>3.1.5. იმართება საბჭოების ყოველწლიური კონფერენცია;<br><br>3.1.6. საკრებულოების საბჭოს წევრები იმყოფებოდნენ სასწავლო ვიზიტებით საზღვარგარეთ. | საბჭო,<br><br>სამოქალაქო საზოგადოება.<br><br>საკრებულოები<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2019-2020 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3.2. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიასთან კოორდინაციის მექანიზმის შექმნა. | 3.2.1. ტარდება რეგულარული საკოორდინაციო შეხვედრები.<br><br>3.2.2. გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმი.<br><br>3.2.3 ჩატარებულია შეხვედრები უწყებათაშორის კომისიასთან;<br><br>3.2.4. გენდერული საბჭო იცნობს კომისიის გეგმებს და შესაბამისი რეკომენდაციები გაგზავნილია კომისიაში;<br><br>3.2.5 კომისიის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმები თანხვედრაშია გენდერული საბჭოს კვლევასთან, სამოქმედო გეგმასთან და გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციასთან. | საბჭო და კომისია<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3.3. შსს სპეციალურ დეპარტამენტთან თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება | 3.3.1. შსს სპეციალურ დეპარტამენტს, საბჭოსთან თანამშრომლობით მომზადებული აქვს გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე მომუშავე პირთა სახელმძღვანელო;<br>3.3.2. სპეციალურ დეპარტამენტთან თანამშრომლობით, შეფასებულია ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული სხვა ღონისძიებების კუთხით არსებული საჭიროებები. | **საბჭო**<br><br>**შსს**<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2019 |

## 4. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება

**მიზანი: პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა.**

| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| 4. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და კომუნიკაციის გაძლიერება | 4.1. საბჭოს  სამდივნოს სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბება | 4.1.1. გენდერული თანასწორობის საბჭო ჩამოყალიბებულია პარლამენტის აპარატის ერთეულად და მას ჰყავს საბჭოს საქმიანობაზე პასუხისმგებელი აპარატი.<br>4.1.2. რეგლამენტის გადახედვის პროცესში, განხილული და დამტკიცებულია საბჭოს ფუნქციები და როლი. | პარლამენტი | 2018 |
| | 4.2. კომუნიკაციის სტრატეგიის დამტკიცება და განხორციელება | 4.2.1.დამტკიცებულია გენდერული საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგია;<br><br>4.2.2.დამტკიცებუალია კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა;<br><br>4.2.3.ყოველწლიურად ხდება სამოქმედო გეგმის გადახედვა და განახლება;<br><br>4.2.4. დამტკიცებული და განხორციელებულია საბჭოს სოციალური მედიის სტრატეგია; | საბჭო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2020 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 4.2.5.შეფასებულია საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება; | | |
| | 4.3. თანამშრომლობის გაღრმავება საკონსულტაციო საბჭოსთან | 4.3.1. საკონსულტაციო საბჭოს წევრები ესწრებიან საბჭოს ღონისძიებებს და სხდომებს;<br><br>4.3.2. შექმნილია საკონსულტაციო საბჭოს წევრებისგან შემდგარი თემატური ჯგუფები. | საბჭო | 2018-2020 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 4.4. საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება | 4.4.1. საბჭოს წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში;<br><br>4.4.2. საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა ქალთა გლობალურ სამიტში;<br><br>4.4.3.საბჭოს თავმჯდომარეს ან წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის ყოველწლიურ სესიაში;<br><br>4.4.4. საბჭოს წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა ევროპარლამენტის FEMM საკომიტეტო მოსმენაში. | საბჭო;<br><br>საგარეო საქმეთა სამინისტრო: | 2018-2020 |
| | 4.5. კოორდინირებული საქმიანობა დონორ ორგანიზაციებთან | 4.5.1. საბჭოს კოორდინირებული აქვს სამოქმედო გეგმის განხორციელება სხვადასხვა დონორებთან. | | 2018-2020 |

## 5. ცნობიერების ამაღლება გენდერულ თანასწორობაზე

**მიზანი: გენდერული თანასწორობის შესახებ, გაზრდილი ცნობიერება და სენსიტიურობა მოსახლეობაში.**

| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| 5. გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ ღონისძიებებში მონაწილეობა | 5.1. სავალდებულო გენდერული კვოტირების მისაღებად საჭირო ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების მხარდაჭერა | 5.1.1. საბჭოს წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა საჯარო შეხვედრებში, დისკუსიებში, რომელიც სავალდებულო გენდერული კვოტირების ინიციატივის ადვოკატირებას ემსახურება;<br>5.1.2. საბჭოს წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა ტელე-რადიო გადაცემებში, შოუებში და დებატებში, რომელიც ქალთა პოლიტიკურ გაძლიერებას ეძღვნებოდა;<br>5.1.3. ინიციატივის დამტკიცების შემდეგ, ჩატარებულია დასკვნითი საერთაშორისო კონფერენცია. | საბჭო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2019 |
| | 5.2. თემატური საჯარო შეხვედრების გამართვა საქართველოს რეგიონებში | 5.2.1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის თემაზე, ჩატარებულია 25 შეხვედრა რეგიონებში .<br>5.2.2. რეგიონული შეხვედრების ფარგლებში, ჩატარებულია შეხვედრები ადგილობრივ ქალებთან. | საბჭო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2020 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 5.3. ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობის მიღება | 5.3.1. საბჭოს წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობ ღონისძიებებში;<br>5.3.2. გენდერული თანასწორობის საბჭოს აქვს უახლესი და განახლებადი სტატისტიკა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. | საბჭო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2020 |
| | 5.4. თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან. | 5.4.1. დამყარებულია თანამშრომლობა 5 ახალ ქსელთან და ორგანიზაციასთან. | საბჭო; | 2018-2020 |
| | 5.5. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ფემიციდის შემთხვევებზე მომუშავე პირების (გამოძიება, სასამართლო, პროკურატურა, იურიდიული დახმარება) ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა. | 5.5.1. საბჭოსა და შესაბამისი უწყებების თანამშრომლობით დანერგილია ცნობიერების ამაღლების კურსები და შექმნილია შესაბამისი გაიდლაინები. | საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2020 |
| | 5.6. სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლება | 5.6.1. ჩატარებულია ღონისძიებები საჯარო და კერძო სფეროში უკვე არსებული განმარტებისა და რეგულაციების, ისევე როგორც, სექსუალური შევიწროების დაუშვებლობის შესახებ. | საბჭო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2020 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 5.7 საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების და/ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში აქტიური ჩართულობა | 5.7.1. საბჭოს წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) კამპანიაში „კაცები ზრუნავენ“<br>5.7.2. საბჭოს წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისთვის (UNJP) ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებში | საბჭო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2020 |

## 6. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი

მიზანი: პარლამენტის გენდერული საბჭოს ინფორმირება სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესზე.

| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| **6. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი** | 6.1. საქართველოს მთავრობის ეროვნული სამოქმედო გეგმის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" განხორციელების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა პრემიერ-მინისტრის თანაშემწისგან ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. | 6.1.1. საბჭოს მოსმენილი აქვს ანგარიში.<br><br>6.1.2. საბჭოს მოსმენილი აქვს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მომზადებული ალტერნატიული ანგარიში. | საბჭო<br><br>სამოქალაქო საზოგადოება | 2018 |
| | 6.2. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშის მოსმენა. | 6.2.1. საბჭოს მოსმენილი აქვს კომისიის შუალედური და ყოველწლიური ანგარიში. | გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია | 2018<br><br>2019<br><br>2020 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6.3. საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება | 6.3.1. შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია. | საბჭო<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით | 2018-2019 |
| | 6.4. საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში საქართველოს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საპარლამენტო მონიტორინგში საბჭოს ჩართვა | 6.4.1. საბჭო ჩართულია საპარლამენტო მონიტორინგის პროცესში; | საბჭო | 2018-2020 |
| | 6.5. საქართველოს მთავრობის მიერ ადრეული ქორწინების შესახებ საკანონმდებლო ბაზის ეფექტიანი აღსრულების საპარლამენტო მონიტორინგში საბჭოს ჩართვა. | 6.5.1. საქართველოს მთავრობის პასუხისმგებელი წარმომადგენლებისაგან საბჭოს მოსმენილი აქვს შესაბამისი ინფორმაცია ადრეული ქორწინების შესახებ საკანონმდებლო ბაზის აღსრულების შესახებ | საბჭო | |